23 Apr 2009

შ.პ.ს. „ტელეიმედი“
ქ. თბილისი, ლუბლიანას 5
ტელ.: 46 33 27
E-mail: contact@imedi.ge

L.L.C. "TELEIMEDI"
5, Ljubljana Str., Tbilisi
Tel.: (995 32) 46 33 27
E-mail: contact@imedi.ge

2009 წლის 16 აპრილი
№0340

“მწვანე ალტერნატივის”
აღმასრულებელ დირექტორს
ქ-ნ ნინო გუჯარაიძეს

ასლი: საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

ქალბატონო ნინო,

გვინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენი 2009 წლის 06 აპრილის წერილისთვის (№04/05-101), რომელიც ეხებოდა ტელეიმედის ეთერში 2009 წლის 04 აპრილს გასულ გადაცემა “ოჩოს ქოხს”.

“ოჩოს ქოხი” პირველი მსგავსი ფორმატის გადაცემაა, რომელიც გადაიცა ტელეიმედის ეთერით. ამ გადაცემას ამზადებს შპს “რედ დოტი”, რომელთანაც ტელეიმედს გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება და რომელიც თავად არის პასუხისმგებელი გადაცემის შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

თქვენი წერილის მიღებისთანავე ჩვენ დავუკავშირდით გადაცემის ავტორებს, რომელთა განმარტებით გადაცემის გადაღებისას ადგილი არ ჰქონია ცხოველთა ბუნაგების და სხვა საცხოვრებელი ადგილების მოშლას ან განადგურებას და რომ გადაცემაში ნაჩვენები კადრები მხოლოდ ინსცენირებაა, რომელსაც არ მოჰყოლია გარემოსთვის ზიანის მიყენება. გადაცემის ავტორთა განმარტებით, მათ გააჩნიათ ე.წ. “შავი მასალა”, რომელიც არ შესულა გადაცემაში და რომელიც ადასტურებს, რომ გადაცემის მომზადებისას ადგილი არ ჰქონია კანონის დარღვევას.

გაცნობებთ, რომ ტელეიმედს არ სურს რაიმე სახით განახორციელოს ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობის ან გარემოსდაცვითი დანაშაულის პროპაგანდა. ჩვენ უფრო ყურადღებით მოვეკიდებით “ოჩოს ქოხის” ავტორთა მიერ მომზადებულ გადაცემას.

ტელეიმედმა უკვე მოითხოვა გადაცემის ავტორებისგან, რომ გადაცემის მომზადებაში ჩართულნი იყვნენ შესაბამისი ცოდნის და გამოცდილების მქონე ექსპერტები. გარდა ამისა, ჩვენ თხოვნით მივმართავთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, რომ მან თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწიოს დახმარება ავტორებს გადაცემის მომზადებაში.

ტელეიმედი გამოთქვამს მზადყოფნას ითანამშრომლოს თქვენს ორგანიზაციასთან და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტოროთან გარემოს დაცვის პოპულარიზაციის მიზნით.

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი — ბიძინა ბარათაშვილი

05-83